

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი
„მერცხალი“

ქ.ოზურგეთი რუსთაველის ქ N39 მობ: 555-50-20-05 ელ-ფოსტა: fcmercxali@mail.ru

ქ.ოზურგეთი

21 იანვარი 2019 წელი

N03

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბ-ონ კონსტანტინე შარაშენიძეს

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ს/კ „მერცხალი“-ს
მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

2018 წელს, საფეხბურთო კლუბ „მერცხალი“-ს მიერ გაწეული იქნა მთელი რიგი სამუშაოებისა, რომელიც საწინდარი იქნება მიმდინარე მომავალ წლებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისა და წარმატებებისა.

ს/კ „მერცხალთან“ ფუნქციონირებს ბავშვთა 5 ასაკობრივი ჯგუფი, ამათგან 4 მონაწილეობდა სხვადასხვა ოფიციალურ შეჯიბრებებში. 2003-04 წლებში დაბადებული ჭაბუკები, პირველად ბოლო 22 წლის მანძილზე, გამოდიოდნენ იმერეთის ღია ჩემპიონატზე (მწვრთნელი: ვახტანგ ჩხაიძე) და დაძაბულ ჩემპიონატში საპატიო მე-3 ადგილი დაიკავეს. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი, ჩამოვიდნენ ქ.ოზურგეთში და ტურნირის პრიზიორებს თავად გადასცეს საპატიო სიგელები, მედლები და შესაბამისი სინჯის თასი.

2005-2006 წლებში დაბადებულები (მწვრთნელი: ვახტანგ ჩხაიძე) მონაწილეობდა აჭარის ღია პირველობაზე და მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდა.

2007-2008 წლებში დაბადებულები (მწვრთნელი: აკაკი როყვა) მონაწილეობდა იმერეთის ღია ჩემპიონატში და სამწუხაროდ ძირითადი პლეი-ოფის მიღმა დარჩა.

2009-2010 წლებში დაბადებულები (მწვრთნელი: გოჩა როყვა) მონაწილეობდა აჭარის ღია ჩემპიონატში და მე-4 ადგილს დასჯერდა.

2011-2012 წლებში დაბადებულები (მწვრთნელი: დავით სურგულაძე) არ მონაწილეობდა შეჯიბრებებში ასაკიდან გამომდინარე.

აღნიშნული ტურნირების გამო, ნორჩი ფეხბურთელები გამოვიდნენ ონის, ჭიათურის, ქუთაისის, მარტვილის, ცაგერის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ქედის სტადიონებზე და აღსანიშნავია, რომ მერიის თანადგომით, ასაკობრივი ჯგუფები ფინანსირდებოდნენ კვებითა და მგზავრობით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვახტანგ ჩხაიძის 6 აღზრდილი გურიის 2003-2004 წლების ნაკრების ფეხბურთელია და თავად მწვრთნელი ჩვენს მიერ წარდგენილია შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ერთ-ერთ მწვრთნელად, როგორც

გურიაში ერთ-ერთი საუკეთესო.რაც შეეხება ძირითად გუნდს- „მერცხალს“,რომელიც დაკომპლექტებულია ადგილობრივი ასაკობრივი ჯგუფების აღსაზრდელებით,ვერ მოხვდა ძირითად პლეი-ოფში და მეორე პლეი-ოფში მეორე ადგილზე გავიდა.

ღირშესანიშნავი რაც მოხდა გასულ წელს არის ის,რომ ჩვენი თხოვნითა და გურიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ-ნ დავით მუჯირის ინიციატივით, ს. ბოხვაურში გაკეთდა მარტივი ტიპის ტაბლო,მოწესრიგდა სათადარიგო ფეხბურთელთა დასაჯდომი და მთლიანად მოწესრიგდა სკოლასთან არსებული ჩაშლილი ღობე. აუცილებელია ამ სტადიონზე(ისევე,როგორც ლაშეს სტადიონზე) ფეხბურთელთა და მსაჯთა ოთახის გაკეთება და კეთილმოწყობა(თბილი წყლითა და სველი წერტილებით).

ს/კ „მერცხალი“-ს
დირექტორი:

/მ.გოგუაძე/